**პანტიკო თორდია — Cy-25 მაღალი საბრძოლო სივრცისუნარიანობით გამოირჩევა, რაც არაერთ საბრძოლო კონფლიქტში დადასტურდა. ფოტოზე — 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს აეროდრომამდე მიფრენილი დაზიანებული რუსული Cy-25-ები**

ნე-გამომცემელიც დაიდება. მომხდარზე პასუხისმგებლობა უშუალოდ სუხის საკონსტრუქტორო ბიუროს დაეკისრა.

რაც შეეხება ტექნოლოგიურ სირთულეებს, ყველაზე რთული საქმე მოიერაშის ტიტანის კაბინის დამზადება იყო. ტიტანის შედუღება ძალზე რთულია და თანაც კაბინის ბორცის სისქე თვედან 24 მმ იყო. თუდაპირველად ტიტანის შესადუღებელი ЗЛУ-15-ის ტიპის შესადუღებელი დანადგარების გამოყენება იგეგმებოდა. ისინი უკვე კონკრეტულად ათვისებული კომპოსიტის-კაბურჯე საავიაციო ქარხანაში, სადაც მათი გამოყენებით Cy-27-ის ტიტანის ავანკეორების შედუღება ხდებოდა. მერვე გაუმჯობესებულმა ЗЛУ-22-ის გამოყენება იგეგმებოდა, მაგრამ ეს დანადგარი ჩვენთვის არ მოუწვდით, თანაც ის ძალზე ძვირი იყო. ტიტანის შედუღება პარიზში არეში არ შეიძლება, რადგან ნაკრძი მზარები წარმოიქმნება. ეს პროცესი ვაკუუმში უნდა ხდებოდეს, მაგრამ ამის უზრუნველყოფა ძალზე რთულია, ამიტომაც საავიაციო ტექნოლოგიების კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად ჩვენ მიერ შემუშავებულ და დანერგილ იქნა ტექნოლოგიურად ახალი მეთოდი, სადაც შედუღება ინერტული აირის, არგონის არეში ხდება.

შედუღების პრობლემის გადაჭრის გარდა, იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი. შედუღების შემდეგ შეუძლებელი იყო კაბინის ზუსტი ზომების დაჭრა, რის გამოც მას ნომინალიდან დიდი გადახრები ჰქონდა, მაშინ როდესაც თეთრთუფლი ზედაპირიდან დასაშვები გადახრა 2 მმ-ს არ აღემატებოდა. ამის გამოსასწორებლად შეიქმნა სპეციალური პერ-მეტული ლუქი, სადაც ვაკუუმში არეში უკვე შედუღებული ტიტანის კაბინის გახურება კრიტიკულ ტემპერატურამდე ხდებოდა. ამჟებ პროცესის დროს ლუქელ-შვე ფოფინას სპეციალური მოწყობილობების საშუალებით შედუღებული კა-

ბინის ზომები სწორდებოდა. მაშინ ამ გამოცდებისთვის სახელმწიფო პრემიათაც დაგვაჯილდოეს.

**— ბატონო პანტიკო, რამდენად წარმატებული იყო ქარხნისთვის Cy-25-ის პროექტი?**

— ამ თვითმფრინავის სერეული წარმოების წყნეს ქარხანაში დაწვება, მრავალი სირთულის მიუხედავად, უფროდ წინგადდგული დიდი ნაბიჯი იყო. სრული ტექნოლოგიური განახლებასა და ბევრი ახალი ტექნოლოგიური პროცესის დანერგვის საშუალება მოგვცა. ამ თვითმფრინავის სერეული წარმოების დაწყების მომენტისთვის ქარხანას არც ერთი პროგრამული ჩარხი არ გააჩნდა. მათი შესრულება მხოლოდ Cy-25-ის სერეული წარმოების დაწყების პროცესში ხდებოდა. პროგრამული ჩარხების გარდა, საჭირო იყო უახლესი აღჭურვილობის შექმნაც. ეს კი მომატეხელი კაბიტალბანდების ხარჯზე ხდებოდა. შესაბამისად, ძირდებოდა წარმადობაც. 1978 წელს ქარხნის გვეშაში 65 ორადგილიანი МиГ-21 იყო

გათვალისწინებული. 1979-ში — მივე რაოდენობის „მიგები“ და 4 მოიერაშე. 1980 წელს მოიერაშეების რაოდენობა უკვე 10-მდე გაიზარდა. თანდათან იზრდებოდა გამოსაშვები თვითმფრინავების გვეშა და 1985 წელს უკვე 150 მოიერაშე და 107 ორადგილიანი МиГ-21 უნდა დაგვეშაზდინა. ამ ყველაფერთან ერთად მოიერაშის სერეული წარმოების დაწყებისას ჩვენ რაკეტების გაყვებაც დავწვეშა მამინ ასეთი წესი იყო: ქარხანას, რომელიც სამხედრო თვითმფრინავებს უშვებდა, მის არსენალში შემავალი რომელიმე შეარადებაც უნდა წარმოებინა. ორი ტიპის თვითმფრინავისა და რაკეტების წარმოების წყალობით ქარხნის წარმოების მოცულობა 1979 წლის 70 მილიონიდან 1985 წლისთვის 265 მილიონ მანეთამდე გაიზარდა. 1979 წლიდან ყოველწლიურად კაბიტალბანდებებზე 11 მილიონ მანეთი იხარჯებოდა. ამ თანხებით ვყიდულობდით ახალ ჩარხებს და ქარხნის თანამშრომლებისთვის 5 საცხოვრებელი კორპუსიც აუშენეთ 1979-90 წლებში კი კაბიტალ-

თმის გაღადნერგვის კლინიკა

# თალიზი

8333600ს 27 830ს 25 37 33

[www.talizi.ge](http://www.talizi.ge)

აბანდებებით ქარხანამ 65 საცხურებელი კორპუსი ააშენა.

რა თქმა უნდა, პროექტი უდავოდ გამართლებული იყო. თავის დროზე, მე ასეთი ერთი კითხვა: „ეს თვითმფრინავი და ჩვენი ტრომანავთისთვის არაა შექმნილი“ და როგორც ჩანს, ის შევცვლადარგარ. ჩემი აზრით, ქარხნის არსებობის მთელ პერიოდში ეს მისი ყველაზე წარმატებული პროექტი იყო.

— ამ თვითმფრინავის პირველი აფრებიდან უკვე 35-მა წელმა განვლო. თქვენი აზრით, კიდევ რამდენ ხანს იტყება ეს თვითმფრინავი ექსპლუატაციაში და თუ აქვს მას სამოქმედო პოტენციალი?

— ჩემი აზრით და, ალბათ, ბევრიც აღფრთხილებს, ეს თვითმფრინავი შეიარაღებულმა კიდევ 20 წელს მიაჩნ შენება. უპირველეს ყოვლისა მივტომ, რომ დღევანდელი უაღრესად რთული თვითმფრინავია. მსოფლიოში მხოლოდ ორი ასეთი კლასის თვითმფრინავი არსებობს: ამერიკული A-10 (რომელიც ჩვენი თანამგობრების ადგილსადავ ქართველთაგანის მიერაა შექმნილი) და ჩვენი Cy-25. ამერიკელები დღევსაც გაანადგომებენ ამ თვითმფრინავის მოდერნიზაციას და მის შეიარაღებაში ფოლას 2025 წლამდე აპირებენ. ბოლო აქწველულებში ლოკალური კონფლიქტების გაანადგომებამ ცხადყო, რომ საპერო ოპერაციების ძირითად ნაწილს მოიერიშეები ასრულებდნენ. ავღანეთის ომში, თუ არ ჩავთვლით შევლემორჩენებს, საიერიშო ოპერაციების 100%-ს Cy-25-ები ასრულებდნენ. იფვე ვითარება იყო თუკოსლავიაში 1999 წელს. მიუხედავ იმისა, რომ მასშინ „უნიმამინებიც“ გამოიყენებს, ბევრ ოპერაციას A-10-ები ასრულებდნენ. დღევსაც ავღანეთსა და ერაყში, თუ არ ჩავთვლით შევლემორჩენებს, საიერიშო ოპერაციების თითქმის 100%-ს ეს თვითმფრინავები ასრულებენ.

Cy-25 დიდი სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევა. ავღანეთში 10 წლის განმავლობაში მიმდინარე ომში გამოყენებულნი 118 მანქანებიდან მხოლოდ 27 დაკარგეო, მასშინ როდესაც ერთი თვითმფრინავზე საშუალოდ დღეში 9 სამართლი გაოერება მოდიოდა. იყო შემთხვევა, როდესაც რამდენიმე აეროდრომის დაბომბვის დროს განადგურდა. მაგრამ არც ერთი თვითმფრინავი საწარმო და კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური მიხეჩებით არ ჩამოვარდნილა.

ბევრ თვითმფრინავს შსი უხიანდობოდა, მაგრამ იაღობები ამაში არაფერ შუაში იყენენ. „სტინგერებისგან“ თავის დასაცავად მერინავი აეროდრომზე დიდი სიმაღლიდან პრაქტიკულად მიკრებით ეშვებოდა და პორიზონტალური ფრენის რეჟიმში მხოლოდ ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის ზონაში გადადიოდა. რასაკვირველია, ფრენის ეს რეჟიმი საკმარის სახიფათო იყო,

მფრინავისგან სპეციალურ მომზადებას საჭიროებდა.

— ამ მოიერიშეებისგან შემდგარი პირველი ესკადრილია ახერბიაჯანში, სიაოლჩაის აეროდრომზე დაკომპლექტდა. მერე თვითმფრინავების გაგზავნა ავღანეთში დაიწყო: შვედურებოდა 40 თვითმფრინავი, რომელთა მსწერის ადგილიც, ვითეაი ბელირუსიაში იყო. ისინი ჯერ ავღანეთში მიფრინავდნენ და განსაზღვრული პერიოდის შემდეგ მსწერის აეროდრომზე მიდიოდნენ, იმით კე ჩვენი ქარხნიდან ჩასული სხვა 40 თვითმფრინავი ენაცვლემობოდა.

— 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ჩვენიან ამწვეული რუსული Cy-25-ები საქართველოს ტერიტორიას ბომბავდნენ. რა ინფორმაცია გაქვთ ამის თაობაზე?

— მე დავინტერესდი, რამდენი თვითმფრინავი გამოიყენებს რუსებმა და ჩემი წყაროებით დავადგინე, რომ 8 ცალი გამოყენებითაა აქვდნ 2 ცალი ჩამოვრდეს. 4 კიდევ ძლიერ დაზიანებულა, აეროდრომამდე მიფრინდა. ერთი დღევსაც მოზღოკის აეროდრომზე დგას და მის ადღვენახე ურთი ითქე. დანარჩენი 3 კე უკნისკის სარე-მონტო ქარხანაში გადაიყენეს, მაგრამ იმდენად არაან დაზიანებული, რომ მით ადღვენახეც უარე ითქე. მიუხედავად ამისა,

ამ თვითმფრინავმა მფრინავს სიცოცხლე შეუნარჩუნა და აეროდრომამდე მიფრინა.

ეს ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში გამოშვებული მანქანებია. მას შემდეგ ჩვენი რუსეთისთვის არც ერთი თვითმფრინავი არ მიფრინოდა. თუმცა, რა თქმა უნდა, არასასაძიერო გრძობაა მსოფლი, რომ აქ გამოშვებულ თვითმფრინავებს ისევე ჩვენს წინააღმდეგ იყენებდნენ.

P.S. ამ მოიერიშის პირველი აფრებიდან 35 წლის განმავლობაში 13 საცვლი თე სერიული მოდიფიკაცია, მათ შორის საცვლიანი, შეიქმნა. აქედან 6 მოდიფიკაცია (Cy-25, Cy-25K, Cy-25T, Cy-25BM, Cy-25YB, Cy-25KM „სკობაინი“) თბილისის საავიაციო ქარხანა უშვებდა, 2000 წლამდე თბილისში 843 მოიერიშე აისყო.

თავის არსებობის განმავლობაში ამ თვითმფრინავმა 14 სამხედრო კონფლიქტის და ომში მიდილ მონაწილეობა. დღეს ის კვლავც რჩება მსოფლიოს 19 ქვეყნის შეიარაღებაში. ესენია: ანგოლა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელირუსია, ბულგარეთი, ჩადი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რუსეთი, ერიტრეა, ეთიოპია, საქართველო, ირანი, ყაზახეთი, სამხრეთი კორეა, პერუ, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი და სუდანი.

თემო პულუზაშვილი



ხანდაზმულობის მიუხედავად, Cy-25 დღევაც არის მსოფლიოს 19 ქვეყნის შეიარაღებაში — პერუს (ზედა ფოტო) და საქართველოს (ქვედა ფოტო) სამხედრო-სამაერო ძალების შეიარაღებაში მყოფი მოიერიშეები





JALISCA



Su-25KM Scorpion


# შვედური



# მანქანები

„არსენალი“ მოსული წერილებისა და კითხვების პასუხად ყურნალი აქვეყნებს პუბლიკაციების ციკლს, რომელიც ეძღვნება ტანკების განვითარებას, ტენდენციებსა თუ პერსპექტივებს, შეიარაღებისა და დაცვის ელემენტების თავისებურებებს, სხვადასხვა ქვეყნის ტანკების კონსტრუქციულ სიახლეებს, ტანკმშენებლობის ღრუვანდელ მდგომარეობასა და ა.შ.

წინა ნომერში ისრავლისა და საფრანგეთის გამოცდლებზე განვიხილეთ, ამ ნომერში კი შვედეთის ტანკმშენებლობაზე მოგვითხრობთ...



პირველი შვედური ტანკი Stridsvagn m/21 გერმანული მსუბუქი ტანკის LK-II საფუძველზე 1921 წელს აიწყო

ტანკების შექმნის იდეა ინგლისში პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წლის ზაფხულში დაიბადა, როცა გერმანელთა კარგად დაცული პოზიციების გარღვევა ცოცხალი ძალების უზარმაზარ დანაკარგს იწვევდა. ამიტომაც მსხვერპლის შესამცირებლად სამხედროები მექანიკური, მუხლმუხებანი, დაფეხმწილი საშუალებების შექმნის საჭიროებაზე მივიდნენ.

იდეის ხორცშესხმამ ერთ წელზე ცოტა მეტი მოითხოვა და 1916 წლის 15 სექტემბერს მდინარე სომის მახლობლად, სოფელ ფლერთან ბრილიანში ბრიტანელთა ტანკებმა მონინალმდეის პოზიციებს პირველად შეუტყეს.

ახალი ტექნიკა სხვა ქვეყნების სამხედროებსაც მოეჩინათ და მალე საკუთარი კონსტრუქციის ტანკების წარმოების ორგანიზება გერმანიაში და საფრანგეთში შეძლეს, ხოლო ომის შემდგომი წლებში ამ ქვეყნებს შეუერთდნენ იაპონია, იტალია, პოლონეთი, საბჭოთა კავშირი, ჩეხოსლოვაკია, შვედეთი და სხვ.

## შვედური ესპერიმენტები

ნეიტრალურ შვედეთში ტანკებით პირველი მსოფლიო ომის ბოლოს დაინტერესდნენ და ახალი ტექნიკის შესწავლა-გაცნობის მიზნით ომის დასრულების შემდეგ გერმანიიდან LK-II ტიპის 10 მსუბუქი ტანკი საიდუმლოდ შეიტანეს. გერმანია ტანკების შექმნაზე მუშაობას ბრიტანელებისა და ფრანგების შემდეგ შეუდგა და ჩამორჩენის დასაძლევად 1917 წელს ინჟინერი ოთხეუ ფოლმური LK-II-ის პროექტირებას სწრაფად, დიდი რაოდენობით ტანკების დამზადების პრაქტიკული მოსაზრებებით მიუდგა და ამისათვის კონსტრუქციაში ავტომატიზაციის აგრეგატები ფართოდ გამოიყენა.

ფრონტზე LK-II-ის საბრძოლო თვისებათა შემოწმება არ მოესწრა. 1918 წლის თვისხისათვის 2 მაქულსა და ოქტომბრისათვის 2 საცდელი ნიმუშის აწყობა მოხერხდა, მაგრამ II ნომერის გერმანიაში წინააღმდეგობა შეწყობტა და

ტანკების შექმნაზე მუშაობაც შეჩერდა. ბრიტანელებისა და ფრანგების თვალის ასახვევად დაშლილი ტანკები შვედეთში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკად გაფორმებული ტვირთის სახით გაიგზავნა.

ტანკი 8,75 ტონას იწონიდა და 37 მმ-იანი ქვემუთით, ან 7,92 მმ-იანი Maxim-ის 1-2 ტყვიამფრქვევით იყო აღჭურვილი. კარბიურატორიანი 50-60-ცხ.ძალიანი ძრავა მაქსიმალურ 14-16 კმ/ს-ში სიჩქარეს უზიარებდა.

შვედეთში გერმანული ტანკები კონსტრუქციული ცვლილებებით აიწყო, კერძოდ, წრფულად მბრუნებ კომპლექსის სამეთაურო გუმბათი დამატება, მომამტა კორპუსის შუბლის დაჯავშნა, ხოლო კაისოს კარები გაუკეთდა და ეკიპაჟი ოთხკაციანი გახდა. შეიარაღებობა 6,5 მმ-იანი ტყვიამფრქვევისაგან შედგებოდა.

Stridsvagn m/21 გამოიცადა და შვედეთის სამხედროები უკმაყოფილოდ დარჩნენ, ხოლო ტანკები 1928 წელს ახ-

ალშექმნილ სატანკო ბატალიონს გადაეცა. ამ დრომდე შვედეთის არმიის ჯავშანტექნიკას საკავალერიო ნაწილების განკარგულებაში მყოფი რამდენიმე ჯავშანტომობილი წარმოადგენდა.

ოღნავ მოგვიანებით ბატალიონი სასწრაფო ცენტრად ჩამოყალიბდა, სადაც შვედი ტანკისტების მომზადებასთან ერთად გერმანული სამხედრო სპეციალისტები თანამედროვე ომში ჯავშანტექნიკის გამოყენებასთან დაკავშირებულ ტანკების პრინციპებს ამუშავებდნენ.

ქვეყნის რელიეფისა თუ კლიმატური პირობებისათვის მისაღები ტანკის მოსაძებნად შეედგება 1923 წლის შედგომავზე ფრანგებისაგან ჯერ რამდენიმე FT-17, ხოლო 1928 წელს კი გაუმჯობესებული NC-27 იყიდა.

საბრძოლო სამსახურისათვის არც ფრანგული ტანკები გამოიღია და არცაა სასწრაფო დანიშნულებით გამოყენებისათვის გადაეცა.

გამოცდებით ასევე უარყოფითი შეფასება ბრიტანულმა ტანკებებმა



# ნეიბრული ქვეყნების არმიებსაც სჭირდება



მეორე მსოფლიო ომის წლებში დამზადებულმა Strv m/42-მა შვედეთის არმიას საშსარო კარგა ხანს გააუწია

verk-ს AB-SM/21-ზე მუშაობის გამოცდილება ჰქონდა, რაც სამძალო წარმოების ტანკის შექმნისათვის კარგი საფუძველი გახდა.

ოთქ გასათვალისწინებელია, რომ შვედურ ფირმას გერმანული კაპიტალი აკონტროლებდა და სამუშაოები გერმანელების დაფინანსებით მიმდინარეობდა, ხოლო პროექტირებას გერმანელი ინჟინერი ოტო მერკერი ხელმძღვანელობდა.

1929 წელს ოტო მერკერმა შვედ სამხედროებს წარუდგინა პირველი ეროვნული ტანკი L-5.

ტანკში გამოყენებული იყო კომბინირებული ბორბლებიან-მუხლუხა საეალი ნაწილი. ასეთი ტანკის იდეა

**ჩეხური ტანკის შვედური ვერსია m/41SI**




Carden-Lloyd Mk V Star-მა და Carden-Lloyd Mk VI-მა დაიმსახურა.

იმედროულად m/21-ის სამოდერნიზაციო მუშაობა გაგრძელდა და 1928 წელს ხუთ მათგანში ტყვიამფრქვევის ადგილი 37 მმ-იანმა ქვემტხმა დაიკაბა.

ერთ-ერთი მოდერნიზებული ტანკი m/21-29 კი თავად გერმანელმა მაიორმა პაინც გუდერიანმა, მომუაღმა გენერალ-პოლკოენიკმა და გერმანიის სატანკო ჯარების მოაარმა ტაქტიკოსმა გამოცადა.

მანქანათმშენებელ ფირმა Lands-

**მსუბუქი ტანკები**



ბრიტანეთში გაჩნდა და მის ავტორს მიანდა, რომ ბორბლები გზებზე სწრაფ გადაადგილებას, მუხლუხები კი ჩვეულებრივ ჯავშანატომობილიან შედარებით უკეთეს გამოულობას უზრუნველყოფდა. იდეას თან საკმაოდ რთული ტექნიკური პრობლემა ახლდა — ბორბლებიდან მუხლუხებით სელაზე ან პირიქით გადასვლა საკმაოდ დიდ დროს — 30 წუთს მოითხოვდა.

გერმანიიდან მიღებული კვანძებით 6 ტანკი L-5 აიწყო და ერთ-ერთი გერმანიის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირში, ყაზანში საგამოცდოდ გაიგზავნა.

მერკერმა 1930 წლიდან მუშაობა ჩვეულებრივი სქემის L-10-სა და გაუმჯობესებულ ბორბლებიან-მუხლუხა L-



შვედური კონსტრუქციის ბოლო ნაწარმი მსუბუქი ტანკი IKV-91

30-ზე გააგრძელა და ორივესათვის ერთნაირი შეიარაღება — 37 მმ-იანი Bofors-ის ქვემეხი გამოიყენა.

L-30 წინა მოდელთან შედარებით ბევრად სრულყოფილი გამოდგა და რაც განსაკუთრებულად გამოსაყოფია, ეკიპაჟს ბორბლებიდან მუხლუხებით სველაზე გადასვლისათვის ტანკიდან გადმოსვლა აღარ სჭირდებოდა.

11,5 ტონა წონის L-30-მა გამოცდაზე მუხლუხებით საათში — 35 და თვლებით კი 70 კილომეტრი აჩვენა, მაგრამ გამოვლით ჩვეულებრივი სქემით აკეზულ L-10-ს გაიცლებით ჩამორჩა.

ამასთან, L-10 დაჯგუფითაც (8-24 მმ-იანი ჯგუფანფურცლები) L-30-ს (6-14 მმ-იანი ჯგუფანფურცლები) აღმატებოდა და ამიტომ შეეძლო სამხედროებმა უკანასკნელზე უარი თქვეს.

L-10-ს სამხედრო აღნიშვნა Strv m/31 მიეცა და შეკვთა 3 ტანკზე გაფორმ-

და, მაგრამ Landsverk AB-მა დაშბაღება-გაბოცდები დააგვიანა და შეკვეთის შესრულება 1935 წლისათვის გადაიდო.

**პირველი სერიული ტანკები**

მოდელენო L-60 ოტო მერკურმა 1934 წელს შექმნა და კონსტრუქციის დახვეწის შემდეგ არმიის შეიარაღებას ტანკი Strv m/38 დამატა.

1939 წელს სერიული წარმოება დაიწყო და არმიამ 16 m/38 (L-60S) შეუკვთა. ტანკი 8,5 ტონას იწონდა და 144-ცხენისძალიან კარბიურატორიანი ძრავით იყო აღჭურვილი. შეიარაღება 37 მმ-იანი Bofors-ის ქვემეხისა და შეწყველებული 8 მმ-იანი ტყვიამფრქვევის დადგარიოსაგან შედგებოდა.

1940-41 წლებში მოდერნიზებული Strv m/39 (L-60SII) გამოჩნდა. წინა მოდელისაგან განსხვავებით, დამატებითა ჯგუფანფილებმა კორპუსის შუბ-

ლის ჯგუფანი 50 მმ-მდე გაზარდა. არმიას 20 ახალი ტანკი დაემატა.

ტანკის კიდევ ერთი მოდერნიზებული ვერსია Strv m/40L (L-60SIII) იყო, რომელსაც დაჯგუფნა კიდევ უფრო გაუშვობესდა და 100 ცალი აიწყო.

სხვადასხვა ცვლილების შედეგად ბოლო მოდიფიკაციის Strv m/40K-ის (L-60SV) მასამ 10,9 ტონას მაღლიწა, მაგრამ გაზრდილი სიმძლავრის (162 ცხ.ძ.) ძრავითი მაქსიმალური — 48 კმ/სთ-ში სიჩქარის შენარჩუნება მაინც მოხერხდა. გამოშვებულია 80 ცალი.

1956 წელს შვედური წარმოების 25 Strv m/40L დომინიკის რესპუბლიკის არმიის შეიარაღებაში შევიდა.

1965 წელს საბოქალაქო ომის დროს რამდენიმე მათგანი დაზიანდა, ხოლო დარჩენილი ტანკების არბოული სამსახური 2001 წელს დასრულდა.

1934 წელს მერკურმა სადაზვერუო ტანკი L-100 დააპროექტა, რისთვისაც საუტომობილო ძრავა და გადაცემათა კოლოფი, საყრდენი გორგოლაქების ინდივიდუალური ტრისიონული დაკიდება, ცხვირისა და ბორტების დაზილილი ჯგუფანფურცლები, კონუსური ფორმის კოშკუნა და პერისკოპული სამხნეები გამოიყენა. მაღალი კუბრი სიმძლავრის ხარჯზე ტანკებს 55-60 კმ/სთ-მდე სიჩქარით გადაადგილება შეეძლო, მაგრამ სერიაში არ წავიდა.

სამაგიეროდ არმიის შეიარაღებაში ჩხოსლოვაკური ფირმა CKD-Praga-ში დაპროექტებული ტანკები AH-IV-SV გამოჩნდა, რომლის წარმოების ლიცენზია შეეფდომა 1937 წლის 12 ივლისს იყიდა და მომდგრეწილი ფირმა A.B. Oskarshamn Shipyard-მა 48 ტანკები გამოუშვა.

4,68 ტონა მასის მქონე ტანკები 8 მმ-იანი Karlskrona-ს ორი ტყვიამფრქვევით იყო შეიარაღებული.

1941-42 წლებში მსუბუქი ტანკის L-60-ის პროექტი გადაამუშავდა და სივრცის მომატებით უფრო დიდი კოშკუნა დაიდა. ჯგუფანფილების შედუღებით გაკეთებულმა კოშკუნამ საკმაოდ კარგი გარსემოდენილობა მიიღო და მოკლეუღლიანი 75 მმ-იანი ქვემეხითა და ორი-სამი 8 მმ-იანი ტყვიამფრქვევით აღჭურვა.

ფირმა Volvo-მ 1943-44 წლებში სხვადასხვა მოდიფიკაციის 282 Strv m/42 გამოუშვა. პირველი სერიის ტანკებზე ორი 160-ცხენისძალიანი კარბიურატორიანი ძრავა ბოლოს ერთმა 380-ცხენისძალიანმა ძრავამ შეცვალა.

თავდაპირველად სატანკო პოლკებში მძიმე ტანკად გამოიყენება იყო დაჯგ-



155 მმ-იანი თვითმავალი საარტლერიო დანადგარი Vk-155

შვედეთის | ჭურების | ფონზე  
Strv-103 | ნაკლებად  
შესაძრწევი



მილი, მაგრამ 1945 წლის კლასიფიკაციით ახალი აღნიშვნა Lvk 73 (Strv 71) და ქვეითების მხარდამჭერი თვითმავალი საარტილერიო დანადგარის დანიშნულება მიიღო.

1957 წელს დანადგარმა მოდერნიზაცია გაიარა და ჩამოსხმის გზით დაშადებული კოშკურითა და გრძელ-ლულაიანი 75 მმ-იანი ქვემეხით შეიარაღდა. Strv 74 შვედეთის არმიის შეიარაღებაში 70-იანი წლების ბოლომდე დარჩა.

1942 წლის 1-ელ ოქტომბერს შვედეთის არმიამ ჯავშანსატანკო ვარგები ცალკე სახეობად ჩამოყალიბდნენ და ქვეით და საკავალერიო ქვედანაყოფები ჯავშანტექნიკით დაკომპლექტდა. შეიქმნა 4 სატანკო პოლკი და 2 სასწავლო ცენტრი.

ევროპაში მჭიდრო მსოფლიო ომი მიმდინარებდა, როცა შვედეთმა უკვე დაპრობირებული ჩეხოსლოვაკიაში ფირმა CKD-Praga-ს მსუბუქი ტანკ LT-38-ის საექსპორტო ვარიანტი TNH-SV-ის ლიცენზია იყიდა.

ლიცენზირებულ ტანკებს ფირმა Scania-Vabis-ი აწვობდა და 1941-43

წლებში 220 ტანკი გამოუშვა. პირველი სერია m/41SI ჩეხურ კონსტრუქციას იმეორებდა, მაგრამ შვედური წარმოების ძალღრანი დანადგარი და შეიარაღება (37 მმ-იანი ქვემეხი და ორი 8 მმ-იანი ტყვიამფრეკვეი) ჰქონდა. 116 ტანკი მე-3 სატანკო პოლკს გადაეცა.

m/41SII-ის კორპუსი უფრო დავრძელდა, კოშკურის ბორტებმა მეტი დახრდილობა მიიღო და დაშადებული 104 ტანკით მე-4 სატანკო პოლკი აღიჭურვა.

ჩეხური კონსტრუქციის ტანკები შვედეთის არმიის შეიარაღებაში 1957 წლამდე დარჩა. 1960-63 წლებში ტანკების შასინზე ჯავშანტრანსპორტიორი Pbv 301 ააწყო, ხოლო კოშკურებს ბოლო დრომდე სანაპირო დაცვა იყენებდა.

**ორიგინალური, მაგრამ არაპრაქტიკული კონსტრუქცია**

თანამედროვე შვედეთის მაღალგანვითარებული სამხედრო მრეწველობა მრავალფეროვან პროდუქციასა და მათ შორის ჯავშანტექნიკას აწვადებს, რომ-

ლის თითოეული ნიშუში საინტერესო კონსტრუქციული მიგნებებით გამოირჩევა.

შვედი სამხედროების აზრით ტანკები განსაკუთრებით დია ადგილებსა და ბალტიის ზღვის სანაპირო ზოლში იაუდაცვის აუცილებელი ელემენტია, ამიტომ ნეიტრალიტეტის მიუხედავად, არმიის შეზადგენლობაში რამდენიმე ჯავშანსატანკო ქვედანაყოფები ისევე ირიცხება.

1958 წელს ახალი ტანკის შექმნის დავალება რამდენიმე შვედურმა ფირმამ მიიღო. მათ შორის იყო ტანკმშენებლობაში გამოცდილი Landsverk-ი და იარაღის ცნობილი მწარმოებელი Bofors-ი.

1960 წელს Bofors-მა 10 საცდელ ტანკზე შეკვეთა მიიღო და ერთ წელიწადში გამოცდისათვის ორი ნიშუში შზად იყო.

ტანკებმა ყოველმხრივი შემოწმება გამოცდა გაიარეს და Bofors-ი 1966 წლიდან Strv-103-ის წარმოებას შეუდგა. სერიული Strv-103A მოდელი 1969 წელს გაუმჯობესებულმა Strv-103-მა შეცვალა.

ფირმის ინჟინრებმა ორიგინალური

**ბ) ქვემეხს უარყოფითი კუთხე მიიღა**

**Strv-103-ის შესაძლებლობათა დემონსტრირება:**

- ა) ქვემეხი ნორმალურ მდგომარეობაში







ტანკს წინ  
დამტავი  
დომბურები  
აქვს

გზებით შესწვდილი, 39 ტონა ტანკში საიმპლო დაცვის, ძლიერი საცეცხლე ძალისა და კარგი ძერადობის შერწყმა მოახერხეს.

შვედური ტანკი მსოფლიოში ერთადერთია, რომელსაც კომპურა არა აქვს და 105 მმ-იანი ქვემეხი პირდაპირ კორპუსზე დამაგრებული. სიახლემ ეკიპაჟს დამიხნებით სროლა გაურთულა — ვერტიკალურ სიბრტყეში დამიხნებისათვის პირობანეუმატური დაიძვების რეგულირებით კორპუსის გრძობი რხევა, ხოლო პირიზონტალურ სიბრტყეში კი ტანკის მოძრუნებაა საჭირო. ვერტიკალურ სიბრტყეში სროლის კუთხე +12°-დან -10°-მე ვარირებს.

ძრავა-ტრანსმისის კორპუსის წინა ნაწილშია გადმოტანილი, რაც „მერკა-ვას“ მსგავსად ეკიპაჟისათვის დამატებით დაცვას ქმნის.

სამკაცთან ეკიპაჟს ქვემეხის დატენვის ავტომატის მართვით და საიმპლო კონსტრუქცია წუთში 15 გასროლის საშუალებას აძლევს. 50 გასროლიდან 25

ქვეკალიბრანის, 20 კუმულაციური და 5 კეამლის დამყენებელი ჭურვია.

ტანკის შუბლში მარცხენა მხარეს უძრავად ორი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევა დაყენებული და დამიხნებისათვის ზემოთ აღწერილი ოპერაციის ჩატარებას მოითხოვს. საპაეროსახმელეთო სამიხნევეზე სამოქმედო კიდევ ერთი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი შეთაურის ლიუკზეა დაყენებული.

შვედურ ტანკში პირველად კომბინირებული ძალოვანი დანადგარია გამოყენებული, რომელიც 240-ცხენისძალიანი, ძრავალსაცავიანი დიზელის ძრავისა და 490-ცხენისძალიანი აირტურბინისაგან შედგება. ძრავებს ერთმანეთთან მექანიკური რედუქტორი აკავშირებს. აირტურბინა რთულ პირობებში მოძრაობაზეა გათვლილი, მაგრამ ექსპლუატაციის დროს მისი მუშაობა ბევრად უფრო დატვირთული გამოდგა, რაც ტანკის სელის მარაგზე აისახა.

უკომპურო ტანკის სიმაღლე 1,9

მეტრს არ აღემატება და დაბალი პროექციის გამო მისი დაზიანება შუბლის მხრიდან საკმაოდ რთულია.

Strv-103-ს ერთი დიდი ნაკლი აქვს: მოძრაობის დროს დამიხნებით სროლა არ შეუძლია და ამის გამო უფრო თვითმავალ საარტილერიო დანადგარს ემსგავსება.

ტანკის წარმოება 1971 წლის ოქტომბერში დაიწყო და 335-მა Strv-103-მა მხოლოდ შვედეთის არმიაში 90-იანი წლების ბოლომდე იმსახურა.

Strv-103B-ის ბაზაზე შეკმნილია 155 მმ-იანი თვითმავალი საარტილერიო დანადგარი Vk-155, 40 მმ-იანი საზენიტო თვითმავალი დანადგარი Veak-4062 და თვითმავალი ტანკსაწინააღმდეგო დანადგარი Pvrbv-551.

ტანკის სიჩქარეა 50 კმ/სთ-ში, სელის მარაგი კი 390 კილომეტრი.


1960 წლის ბოლოს შვედეთის არმია ჯავშანტექნიკის შეცვლის პროგრამას შეუდგა, რომელიც მოქველებული მსუბუქი ტანკების Strv 74-ის, 75 მმ-იანი თვითმავალი ქვემეხის IKV-102-ის, 105 მმ-იანი თვითმავალი პაუზიცა IKV-103-ის და სხვა ტექნიკის შეცვლას ითვალისწინებდა.

დასახელებული ჯავშანტექნიკის შესაცვლელად 1968 წელს ფირმა Hegglund and Sener-მა ტანკების გამანადგურებლის, ანუ მსუბუქი ტანკის IKV-91-ის შექმნის შეკვეთა მიიღო.

1970 წელს პირველი სამი პროტოტიპი მზად იყო და ორწლიანი გამოცდის შემდეგ, 1975-78 წლებში, არამდე 210 IKV-91 მიიღო.

ტანკის მთავარი დანიშნულებაა დაზვერვა, ქვეითების საცეცხლე მხარდაჭერა და მოწინააღმდეგის ტანკების ბროლია, ამისათვის კი 90 მმ-იანი ქვემეხითა და ორი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევით არის შეიარაღებული.

შალვა მომნიშობიძე



ტანკში კარგად ჩანს გასული საუკუნის ტექნიკური მიღწევები

## „პაერი-მინა“ კლასის გართვადი რაკეტები



## ტაქტიკური რაკეტები

გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში დღის წესრიგში ტაქტიკური დანიშნულების რაკეტის შექმნა დადგა. ეს განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი კორეის ომში მიღებული გამოცდილება იყო. საქმე ის არის, რომ აშშ-ის საეგზიმანო ავიაცია სამხრეთკორეულ ზიდაგზე ბომბებით იერიშის მიტანისას დიდ დანაკარგს განიცდიდა, შესაბამისად, მართვადი რაკეტით ამგვარი ობიექტების განადგურება შორი მანძილიდან იქნებოდა შესაძლებელი.

50-იანი წლების შუა ხანებში აშშ-ში დაიწყო მუშაობა რაკეტა AGM-12 Bullpup-ზე. ეს რაკეტა, „პაერი-მინა“ კლასის მართვადი შეიარაღების კლასიდან ერთ-ერთი პირველი ყველაზე მასობრივი იარაღია. რაკეტის პირველი ვარიანტი შეიარაღებაში 1957 წელს მიიღეს. თვალპირველად ის ნიშნულ GAM-83A-ს ატარებდა, რომელიც შემდგომში AGM-12B-ით შეიცვალა.

ამ მოდიფიკაციაში რაკეტის სიგრძე 3,2 მ-ს, კორპუსის მაქსიმალური დიამეტრი კი 0,305 მ-ს შეადგენს. რაკეტის სასტარტო მასა 258 კგ-ია, საიდანაც 113 კგ ფუგასური ტიპის საბრძოლო ქიმიანზე მიდის. ძალურ დანადგარად რაკეტაზე LR-58-ის ტიპის თხევადსაწვავიანი რაკეტული ძრავა გამოყენებული, წვეთი 5800 კვძალა, რომელიც ფრენის დროს რაკეტას 780 მ/წმ-ის ტოლ სიჩქარეს ანიჭებდა. რაკეტის დამზნება რადიობრძანებით ხდებოდა და მისი გამოყენების მაქსიმალური დისტანცია 7000 მ-ია. რაკეტაზე ორი ტიპის საბრძოლო ქიმიანს აყენებდნენ: პირველი ზემოაღნიშნული ფუგასური ტიპისა იყო, მეორე კი ბირთვული MK-45, რომლის სიმძლავრეც 15 კილოტონას შეადგენდა.

შემდგომში ბირთვული საბრძოლო ქიმიანით აღჭურვილმა რაკეტებმა ნიშნუ-

ლი AGM-12D მიიღეს. რაკეტების სერიული წარმოება 1970 წელს შეწყდა. 1959 წლიდან B და D მოდიფიკაციების 22100 რაკეტა გამოუმუშეს. სერიული წარმოების დასრულების შემდეგ, უკვე არსებული რაკეტების ბაზაზე შეიქმნა მოდიფიკაცია AGM-12E, რომლის მასაც 770 კგ-ს შეადგენდა. მისი სიგრძე 4,14 მ-ს, კორპუსის მაქსიმალური დიამეტრი კი 0,45 მ-ს უტოლდებოდა. მთავარი განსხვავება კი კასეტური ტიპის საბრძოლო ქიმიანი იყო, რომლის წინაც 420 კგ-ს შეადგენდა.


რაკეტას FJ-4B, A-4D, F-4, F-105 და Draken-ის ტიპის თვითმფრინებიდან უმჯობესნი, სხვადასხვა დროს რაკეტა Bullpup-ი აშშ-ის გარდა ავსტრალიის, დანიის, საბერძნეთის, ისრაელის, დიდი ბრიტანეთის, ტაივანისა და თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში იყო.

1959 წლის მაისში აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ფირმა Douglas Aircraft Company-სთან კონტრაქტი გააფორმეს, რომლის თანახმადაც ეს უკანასკნელი ვალდებული იყო ახალი საავიაციო ბაზირების აერობალისტიკური რაკეტა შეექმნა, რომელმაც ცოტა ხანში ნიშნული GAM-87A მიიღო. რაკეტა ორსაფეხური-

ანი სქემის მიხედვით იყო შესრულებული და ორივე მთავანს ძალური დანადგარად მყარსაწვავიანი რაკეტული ძრავები ჰქონდა. რაკეტის სიგრძე 11,66 მ-ს, კორპუსის მაქსიმალური დიამეტრი კი 0,88 მ-ს შეადგენდა. სასტარტო მასა 5000 კგ-ს უტოლდებოდა და საბრძოლო ქიმიანის სახით მას W59-ის ტიპის ბირთვული მუხტი მაქონდა, სიმძლავრით 1,2 მეგატონა. რაკეტას ინერციული სისტემით უზნებდნენ, ფრენის დროს ტრაექტორია კი ასტროკორექციით ზუსტდებოდა. რაკეტის გამოყენების დისტანცია 1500-1850 კმ-ს შეადგენდა.

მატარებელი-თვითმფრინავიდან გამოყვების შემდეგ, რაკეტა დაახლოებით 120 მ-ით ქვევით ვარდებოდა. გარკვეული დროის შემდეგ მის კუდა ნაწილს ამეციქო ჰანჭიკებით დამაგრებული კონუსი მოსცილდებოდა და პირველი საფეხურის მყარსაწვავიანი რაკეტული ძრავა ორიუბოდა. ამ დროს რაკეტა სიმაღლის აღების რეჟიმში გადადიოდა. დაახლოებით 100 წამის შემდეგ პირველ საფეხურში საწვავი ილეოდა, რის შემდეგაც ის სცილდებოდა რაკეტას და უკვე მთლიან საფეხურის ძრავა ორიუბოდა. პირველი საფეხურის მუშაო-





**მაღალი სიზუსტისა და დიდი ფრენის მანძილის მიუხედავად, დიდმა ღირებულებამ რაკეტა Condor-ის პროექტზე დაბლაგველად იმოქმედა**

ბის რაკეტა აეროდინამიკური საჭეების გადახრით იმართებოდა, შიორე საფეხურის მუშაობისას კი — ძრავას საქმეების გადახრით (წვეის ვექტორის ცვლილებით). დაახლოებით 60 კმ სიმაღლეზე, 15300 კმ/თი სიჩქარას, შიორე საფეხურის ძრავა წვევდა მუშაობას და რაკეტას შიორე საფეხური სცილდებოდა, ბრიტულმუხტაინი რაკეტის საბრძოლო ქიბინი კი ფრენას ბალისტიკური ტრაექტორიის მიხედვით ასრულებდა.

რაკეტის საცდელი ნიმუშების გამოცდა, რომელსაც იმ დროისთვის უკვე მინიჭებული ჰქონდა სახელწოდება Skybolt-ის, 1961 წელს დაიწყო და მისი შეარაღებაში მიღება 1965 წლისთვის იგეგმებოდა. მატარებელი საშუალებების სახით თავდაპირველად სტრატეგიული ბომბდამშენი B-52 განიხილებოდა. თითოეულს ძრავების შიდა წვეილსა და ფიუნელაგს შორის განთავსებულ თითო ბალინზე ორ-ორი ასეთი რაკეტის წადება შეეძლო. უკვე შემდგომ ამ თვითმფრინავს მოქმედების საშუალო რადიუსის მქონე ზებგერითი B-58 და სტრატეგიული ზებგერითი B-70 უნდა დამატებოდა. გარდა ამისა, 1960 წლის მასში აშშ-ის პრეზიდენტ ეიზინჰაუერისა და ბრიტანეთის პრემიერ მაკმილანის შეტყუების შემდეგ გადმოვიდა, რომ აშშ სამხედრო სამხედრო-საჰაერო ძალების 144 Skybolt-ის მაწივლიდა Victor-ისა და Vulcan-ის ტიპის ბომბდამშენების შესაარაღებლად, მაგრამ 1962 წლის დეკემბერში, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯონ კენედომ, ეკონომიკური და პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, რაკეტის შექმნის პროგრამა დახურა და უპირატესობა წვალქვეშა ნავებზე ბაზირების ბალისტიკურ რაკეტებს მიენიჭა.

1962 წელს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა დიდ დისტანციებზე მოქმედ მაღალი სიზუსტის „მაკრი-მისა“ კლასის მართავ რაკეტაზე თავისი მოთხოვნები წამოაყენა. მომავალი რაკეტა, რომელსაც Condor-ი ეწოდა, ოპტიკურ-ელექტრონული (ტელევიზიური) დამაზინების სისტემით უნდა აღჭურვილიყო. 1963 წელს რაკეტას ნიშნული AGM-53A მიანიჭეს, სამი წლის შემდეგ კი ფირმა Rockwell-მა ამ ტიპის


რაკეტის შექმნაზე ოფიციალური კონტრაქტი მიიღო.

ტექნიკური პრობლემების გამო რაკეტის პირველი საცდელი გამოცდა მხოლოდ 1970 წლის მარტში შეუძა. მიუარ პრობლემას ძრავა წარმოადგენდა. თავდაპირველად რაკეტაზე თხევადსაწვავე მომუშავე რეაქტიული ძრავას დაეყენება იგეგმებოდა, მაგრამ ის ძალზე რთული გამოიყდა და არჩევიანი მყარსაწვავიანი რაკეტულ ძრავებზე შეჩერდა. დიდი დრო დასჭირდა რაკეტის ელექტრონული შიგთავის შექმნასაც.

რაკეტის სიგრძე 4,22 მ-ს, კორპუსის მაქსიმალური დიამეტრი კი 0,43 მ-ს შეადგენდა. რაკეტა 950 კგ-ს იწონიდა, საიდანაც 286 კგ კუმულაციური ტიპის საბრძოლო ქიბინზე მიდიოდა. მისი გამოყენების



**აერობალისტიკური რაკეტა Skybolt-ი და მისი ბომბდამშენ B-52-ზე განთავსების სქემა**



მაქსიმალური დისტანცია 110 კმ-ს უტოლდებოდა. რაკეტა მონინადმდევის პერსონინადმდელო თვდაცვის საშუალებების მოქმედების ზონაში შეუსვლელად წერტილოვანი სახმელეთო სამიზნეების გასანადგურებლად იყო განკუთვნილი. გამუხტისთანავე, რაკეტის ძრავას ჩართვასთან ერთად, რაკეტასა და მის მატარებელ საშუალებას შორის ორმხრივი რადიოკავშირი მყარდებოდა. როდესაც რაკეტა სამიზნის საჰაერაო განლაგების რაიონს უახლოვდებოდა, ითიუბოდა მის ცხეიანი ნაწილში განთავსებული სატელევიზიო კამერა და „დინაზული“ გამოსახულება რადიოარხით მატარებელ-თვითმფრინავს გადაეცემოდა. ის კი ეკიპაჟის კამინაში მდებარე ეკრანზე აისახებოდა. სამიზნის აღმოჩენის შემდეგ ოპერატორს მისი დამიზნება ხელთ შეეძლო ან ეს რაკეტის სამიზნე აპარატურისთვის შეეძლო მიეღო.

1975 წლის ივლისისთვის პროგრამა, რომლის მიხედვითაც შეიქმნა რაკეტა Condor-ი, სერიული წარმოების დონეზე იყო და ერთი წლის შემდეგ მიუარობა 250 რაკეტისგან შემდგომ პირველი პარტიის შექმნას აპირებდა.

რაკეტის ძირითადი მატარებელი საკვამლო ბაზირების შიორეზე A-6E უნდა გამხდარიყო, მაგრამ შეარაღებაში მიღების ნაცვლად, 1976 წელს, რაკეტის შექმ-

ნის პროგრამა დახურეს. მოქმედების დიდი დისტანცია და მაღალი სიზუსტე ამ ტიპის რაკეტას იმდროინდელი „ჰაერი-სილა“ კლასის სხვა რაკეტებისგან განსხვავებით ძლიერ იარაღად აქცევდა. მაღიან მჭირი ღირდა რაკეტის დამზენების სისტემაც.

რაკეტის შექმნისას განიხილებოდა მისი ალტერნატიული ვარიანტებიც 185 კმ-მდე გაზრდილი მოქმედების დისტანციითა და W-73-ის ტიპის ბირთვული ქიბინით თურქა ეს ვარიანტი მხოლოდ ქალღღმე ღარდა.

რაკეტა Condor-ის პროექტის დახურვის შემდეგ, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა ფირმა Martin Marietta Corporation-ის მართვად რაკეტა AGM-62 Wall-eye-ს დაადგა თვალი. ეს უკანასკნელი სახმელეთო და მცირე ტონაჟის მქონე საზღვაო სამზენების გასანადგურებლად იყო განკუთვნილი.

60-იანი წლების პირველ ნახევარში სტრატეგიული საბომბდამშენო ავიაციის მოქმედების ეფექტურობის გაზრდის მიზნით აშშ-ში ახალ რაკეტა SRAM-ზე (Short Range Attack Missile — მცირე დისტანციებზე მოქმედი დამრტყმელი რაკეტა) დაიწყო მუშაობა. იმ პერიოდში უკვე აშკარა იყო, რომ მატარებელი-თვითმფრინავის ფრენის დიდი სიმაღლე და მაღალი ზეგზვრითი სიჩქარე ადარ იყო საკარისი ამოცანის შესრულებისთვის. მაშინ ერთადერთი გაოსავალი დამრტყმელი საბომბდამშენო ავიაციის ფრენის სიმაღლის შემცირებაში დაინახეს, მაგრამ საჭიროა კავშირში საზენიტო-სარაკეტო საშუალებები იმდენად სწრაფად ვითარდებოდა, რომ სანამ აშშ-ში შეიქმნებოდა დაბალ სიმაღლეზე მოქმედი დამრტყმელი თვითმფრინავი, საბჭოეთის უკვე ჰქონდა მისი საშუალების საშუალება.

შექმნილი ვითარებიდან ამერიკელი ექსპერტები მხოლოდ ორ გამოსავალს ხედავდნენ: პირველი იყო თვითმფრინავის შემწვადლობის შექცობა რადიოლოკაციურ დაიამზენში, მეორე კი — სამზენის განადგურება მიწინააღმდეგის პაერსაფინანსდებოდა თვითმფრინავის საშუალებების მოქმედების ზონაში შესვლის გარეშე. იმ პერიოდში, ისევე როგორც ახლა, ამერიკელი ინჟინერების ნატიარება მხოლოდ მართვად რაკეტას შეეძლო. შეიარაღებულმა სასაერო პანიერების ბირთვულქიბინიანი AGM-28 Hound Dog-ის ტიპის ფრთოსანი რაკეტების მიღების შემდეგ ეს პრობლემა ნაწილობრივ გადაწვდა.

მატარებელ-თვითმფრინავზე ამ ტიპის რაკეტების მცირე რაოდენობით განთავსება (სტრატეგიულ B-52-ს მხოლოდ ორი ასეთი რაკეტა მაქონდა) და ტექნიკური ნაკლებობის (დიდი გაბარტული ზომები, თხევადი საწვავი) გამო 1962 წელს აშშ-ში დაიწვეს ფაქრი ზეგზვრითი სისქვრით მფრენ ბირთვულქიბინიან რაკეტაზე, რომელიც



**რაკეტა SRAM-90 B-52-ის მრავალბოზიციურ დოლური ტიპის გამშვებ დანადგარზე (ზედა ფოტო) და FB-111-ის ფროთაქვეშა ბოლოზე (ქვედა ფოტო)**



მასზე მყარსაწვავიანი რაკეტულ ძრავას გამოყენებასთან ერთად შედარებით მცირე გაბარტით იქნებოდა გამოწვეული. ამის წყალობით კი ერთი თვითმფრინავზე 10-20 ასეთი რაკეტის განთავსება იქნებოდა შესაძლებელი.

1963 წელს აშშ-ში ამ მოთხოვნების შესაბამისად პროგრამა SRAM-ზე დაიწვეს მუშაობა. ორი წლის შემდეგ კი ქვეყნის თვითმფრინავის მინისტრმა რობერტ მაკნამარამ პროექტს „შუენე შუეი“ მისცა. მალე რაკეტის მწარმოებელი კომპანიაც გამოვლინდა — აეროკოსმოსური კორპორაცია Boeing-ი იყო. ახალი რაკეტის მატარებელ საშუალებად სტრატეგიული ბომბდამშენ B-52-ის G და H მოდიფიკაციები განიხილებოდა, ასევე ცვლადი ისრისფრითი ფრთის მქონე ზეგზვრითი FB-111A. რაკეტის პირველი საცდელი გაშვება, რომელსაც

უკვე ჰქონდა ოფიციალური ნიშნული AGM-69A B-52H-ის ბორტინი 1969 წელს შედგა. 1972 წლისთვის აშშ-ის სტრატეგიული ავიაციის არსნალში უკვე 227 ამ ტიპის რაკეტა იყო.

რაკეტა AGM-69A-ს სიგრძე 4,27 მ-ს, კორპუსის მაქსიმალური დიამეტრი კი 0,45 მ-ს შეადგენს. რაკეტის ფიზიკლადის ოფლური კვითი აქვს, ფიზიკლადის ზედაპირი გარეშე დაახლოებით 2 სმ სისქის თბოდამცევი მასლით არის დაფარული, რომელიც რაკეტის გადახურებისგან დაცვის გარდა, ნაწილობრივ მის განწვრთის ეფექტურ ზედაპირსაც ამცირებს. B-52-ის ტიპის ბომბდამშენ 20 ასეთი რაკეტის წაღება შეეძლო, აქედან 12-ის განთავსება ძრავების შიდა წვეთისა და ფიზიკლადის შორის არსებულ ექსპანდირიან



პილოტებზე, რვა ცალისა კი — ფოუნელაჟში მდებარე დოღური ტიპის მრავალპოზიციურ გამშვებ დანადგარზე, რაც შეეება FB-111A-ს, მას ეჭვი რაკეტის წლებზე შეეძლო, აქედან თითხ განთავსება ფრთაქვეა პილოტებზე, ორისა კი — ფოუნელაჟში არსებულ ბომბანაკეთურში. განურჩევლად მატარებელი საშუალების ტიპისა და მის ბორტზე რაკეტების განთავსების სქემისა, რაკეტების გამშვებისას ინტერვალი 5 წამს არ აღემატება.

რაკეტა 1016 კგ-ს იწონის, საიდანაც 200 კგ საბრძოლო ქიბინზე მოდის. მატარებელზე W-69-ის ტიპის ბირთვული ქიბინა გამოყენებული, რომელსაც ავიაციის მთლიანი აქვს — ტაქტიკური სიმძლავრით 7 კილოტონა და სტრატეგიული — სიმძლავრით 210 კილოტონა. სიმძლავრის რაკეტის გამშვების წინ კაბინაში არსებული საკითხი პულტით ეკაპაჟი არეგულირებს.

ძალურ დანადგარად რაკეტაზე მყარსაწყვიანი რაკეტული ძრავა გამოიყენება, დამაზნება კი ინერციული სისტემის საშუალებით ხდება. რაკეტის მართვის სისტემის წინასწარ ჩადებული ფრენის პროგრამიდან გამომდინარე, რაკეტას სამიზნედ ფრენა ორ რეჟიმში შეეძლო: ორიგონის შემთხვევაში ის დღე სიმაღლეზე 3,5მ-ის ტოლის სიჩქარით მიფრინავდა. ამ შემთხვევაში ფრენის მანძილი 185 კმ-ს შეადგენდა, მეორე რეჟიმისას კი რაკეტა დაბალ სიმაღლეზე 2მ-ის ტოლი სიჩქარით მიფრინავდა — ამ დროს ფრენის მანძილი 56 კმ-ს შეადგენდა.

შეიარაღებაში ახალი რაკეტის მიღებას უპრობლემოდ არ ჩაუვლიდა, რაც მყარსაწყვიანი რაკეტული ძრავას მუშაობისას იყო დაკავშირებული. ამიტომ 1976 წელს დაიწყო მუშაობა მის გაუმჯობესებაზე, გაუმჯობესდა რაკეტის მართვის სისტემა და მისი საბრძოლო ქიბინი. შესაბამისად, შეიქმნა ახალი მოდელი აფთკაცია AGM-69B, მაგრამ ტექნიკურმა

პრობლემებმა კვლავ იჩინა თავი და 1978 წელს პროგრამა SR-AM დაიხურა. იმავე წელს შეიქმნა რაკეტების სერიული წარმოება.

80-იანი წლების დასაწყისში რაკეტის მატარებელ საშუალებად სტრატეგიული ბომბდამხენი B-1B განიხილებოდა. მას ფოუნელაჟში მდებარე სამ დოღური ტიპის მრავალპოზიციურ გამშვებ დანადგარზე 24 ასეთი რაკეტის წლებზე შეეძლო. ერთხანს რაკეტების რიცხვის გაზრდა თვითმფრინავზე ოთხი დამატებითი პილოტის გამოყენების ხარჯზე 32-მდე იგეგმებოდა, თუმცა შემდგომ ამ გაუმჯობესებაზე უარი ითქვა. 1987 წლის იანვარში ამ თვითმფრინავის ბორტიდან რაკეტის პირველი საცდელი გამშვება შედგა, იმავე წლის ზაფხულში კი რაკეტა ამ თვითმფრინავის არსენალში შევიდა.

შეიარაღებაში ერთდროულად რაკეტების მაქსიმალური რაოდენობა 1976 წელს იყო — 451 ცალი. ამის შემდეგ საბრძოლო მორაგობაზე მყოფი რაკეტების რაოდენობა ნელ-ნელა მცირდებოდა. როგორც წესი, შეიარაღებიდან უკვე რაკეტისგასული რაკეტების ოხსნებიდა, უპირველესად მყარსაწყვიანი ძრავას საწყავის კომპონენტების სწრაფ დამკვლევის გამო. რაკეტა შეიარაღებიდან საბოლოოდ 1990 წელს (1048 ცალი) მოხსნეს.

60-იან წლებში ტაქტიკური დანიშნულების რაკეტებზე მუშაობა საბჭოთა კავშირმა დაიწყო და ამ „ოჯახის“ ერთერთი პირველი მასიური წარმომადგენელი, რაკეტა X-23 ГРОМ-ი იყო, რომელზეც მუშაობა 1965 წლის აპრილში საკონსტრუქციო ბურო Выхпел-ს დაიწყო. რაკეტა სასხელოდ სამიზნეობას და მჭიდვ ტრიალის მქონე საზღვაო ხომალდების გასანადგურებლად იყო განკუთვნილი. დროის და სახსრების დასაზოგად, ახალი რაკეტის შექმნა უკვე არსებულ X-66-ის ბაზაზე ხდებოდა, თუმცა მისგან განსხვავებით ახალი რაკეტა უფრო თანამართლევ ელექტრონული მიზანუჩიხი უნდა აღჭურვილიყო. რაკეტის გამოცდა 1969 წელს

თვითმფრინავი МиГ-23Б-ს შეიარაღების კომპლექსის შემადგენლობაში შედგა. 1973 წელს ის შეიარაღებაში მიიღეს.

რაკეტის სიგრძე 3,63 მ-ს, კორპუსის მაქსიმალური დიამეტრი კი 0,275 მ-ს შეადგენდა. რაკეტა 289 კგ-ს იწონის, საიდანაც 111 კგ საბრძოლო ქიბინზე მოდის. ამ უკანასკნელის სახით რაკეტაზე კუშულაციური მსხვერველ-ფუგასური საბრძოლო ქიბინია გამოყენებული. დამაზანებელი ეფექტის გასაზრდელად რაკეტის ორ ნაკვეთურში 1448 დამაზანებელი ელემენტია განთავსებული, რომლებიც 10 მმ-ის წიბოს სიგრძის მქონე ფოლადის კუბები-თაა წარმოდგენილი. საბრძოლო ქიბინის დეტონაციის შემდეგ დამაზანებელი ელემენტების გაფრეტვა წინა და გვერდითა მხარეებში ხდება, რისი წყალობითაც დაზანების რაოდენობა 40 მ-ს უტოლდება. ავიაციების მინიჭებულ კინეტიკური ენერგიის წყალობით ფოლადის დამაზანებელი ელემენტებს 250 მმ-მდე სისქის ფრენის გაზრეტვა შეუძლიათ. რაკეტის გამაყენების მინიმალური დისტანცია 2-ს, მაქსიმალური კი 10 კმ-ს შეადგენს. რაკეტის გამაყენების სიმაღლე 1000-5000 მ-ის ფარგლებში შეერეობს და მისი ფრენის მაქსიმალური სიჩქარე 750 მ/წმ-ს აღწევს. X-23-ის სამიზნიდან წრიული გადახრის დისტანცია 6 მ-ს შეადგენს, ერთი რაკეტის გამაყენების შემთხვევაში კი სამიზნის განადგურების ალბათობა მხოლოდ 0,56-0,62-ია. მატარებლების სახით ამ ტიპის რაკეტის გამოყენება МиГ-23, МиГ-23Б, МиГ-23БК, МиГ-23УВ, МиГ-27М, Су-24М, Су-17М1, Су-17М2, Су-17М3 და Су-22М1-ის ტიპების თვითმფრინავებიდან ხდება.

უღანეთში მამდინარე საბრძოლო მოქმედების X-23-ის უარყოფითი მხარეები გამოვლინდა და ეს დამაზნების რადიობრძანებით სისტემისთან იყო დაკავშირებული. რაკეტის სამიზნეზე დამაზნება ვიზუალურად მტკნავის საშუალებით ხდებოდა, რომელიც რაკეტის კუდა ნაწილში იყო განლაგებული. ამ მტკნავზე დაკვირვების წყალობით მფრინავს უკვე ფრენის პროცესში მყოფი რაკეტის კორექტირება შეეძლო, მაგრამ ამ შემთხვევაში მტრისა და სამიზნის მარკერი რაკეტის ფრენის მთელი დროის განმავლობაში მიზანზე უნდა ჰქონილიდა გასწორებული.

არსებობდა რაკეტის დამზნების კიდევ ერთი — ნახვრად ავტომატური მეთოდი, რომელიც სითბოქვენიტატორის გამოყენებას ითვლიდა საფუძვლად. ამ შემთხვევაში მტრისა და სამიზნის მარკერი მხოლოდ სამიზნეზე უნდა ჰქონილიდა გასწორებული, რაკეტის ტრაექტორიის კორექტირებას კი ავტომატული ახდენდა, მაგრამ ამ მეთოდის გამოყენება მხოლოდ Су-24-ის ტიპის საფრთხილ ბომბდამხენების ეკაპაჟის შემძლით, რადგან სითბოქვენიტატორით რა-



კტის გამოყენებელი საშუალებებიდან მხოლოდ ეს თვითმფრინავი იყო ადვირ-ილი. ორივე შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე საზენიტო ცეცხლს გახსნია, მფრინავს მანერის შესრულება უხდებოდა და კარგად რაკეტასთან ვიზუალურ კონტაქტს. რაკეტა კი გამოიღო თვითმფრინავის რადიოსიხვის არიდან და კარგვდა მიზანს. ეს ნაკლი მოღერბინებულ X-23M-ში ნაწილობრივ გამოსწორდა, თუკი მისი სრული ლეკვიადაცია მანც ვერ მიხერხდა.

70-იან წლებში აშშ-ის ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებების განვითარებამ და შეარაღებამ „აქტივისტის“ ტიპის საზენიტო კომპლექსების მიღებამ საბჭოთა კავშირში იმავე სახის პრობლემები გამოიწვია, რაც 60-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში წამოიჭრა — მოწინააღმდეგვის ობიექტების განადგურების შესაძლებლობის აუცილებლობა მისი ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებების მოქმედების ზონაში შეუკვლევად. ამ პრობლემის გადასაჭრელად მუშაობას საკონსტრუქციო ბიურო Радуга შეუდგა. ახალი რაკეტა, რომელმაც წინსული X-15 მიიღო, ამერიკული SRAM-ის საბაზუხოდ შეიქმნა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მისი შეთანწევბა და კორპუსის ფორმა ამერიკული ანალოგის მსგავსი იყო. რაკეტას დამიზნების ინერციული სისტემა ჰქონდა.

X-15-ის სიგრძე 4,55 მ-ს, კორპუსის მაქსიმალური დიამეტრი კი 0,455 მ-ს შეადგენს. მისი სასტარტო მასა 1100 კგ-ს უტოლდება, საიდანაც 200 კგ საბრძოლო ქობინზე მოდის. ამ უკანასკნელის სახით რაკეტაზე 350 კილოტონა სიმძლავრის ბირთვული მუხტია გამოყენებული. რაკეტის გამოყენების მაქსიმალური დისტანცია 300 კმ-ია. ფრენის განმავლობაში რაკეტა მაქსიმალურ 5M-ის ტოლ სიჩქარეს ათვისებს. შესაბამისად, ჰაერთან ურთიერთქმედების გამო რაკეტის კორპუსი ძლიერ ხურდება, რის გამოც უმეტესწილად ტიტანისა და უჟანგავი ფოლიადისგან არის დამზადებული. ძალურ დანადგარად X-15-ზე ერთ კორპუსში შეარსაწვებიანი რაკეტულ ძრავს ერთდროულად ორი საფეხური აქვს. პირველი რაკეტის ვასაქანებლად გამოიყენება, მეორე კი ფრენის საბრძოლველის უზრუნველსაყოფად. რაკეტის გამოყენების სიმაღლე 13-დან 22 კმ-მდე ვარირებს, მატარებელი-თვითმფრინავის ფრენის სიჩქარე 600 კმ/ს-ის არ უნდა აღმატებოდეს. რაკეტა აერობალისტიკური პრინციპისაა, სტარტის შემდეგ სიმაღლის აღების რეჟიმში გადადის და მაქსიმალურ 40 კმ სიმაღლეზე აღის, რის შემდეგაც სამიზნეუ მიკრებს.

ტექნიკური პრობლემების გამო X-15-ის პირველი საცდელი გაშვება Ty-22M-ის ტიპის ბომბდამშენის ბორტიდან პირველად

70-იანი წლების ბოლოს შედგა. 1981 წელს რაკეტა სერიულ წარმოებაში ჩაუშვეს. პირველ რიგში ახალი რაკეტები Ty-160-ის ტიპის სტრატეგიული ბომბდამშენის შესაირადებლად იყო განკუთვნილი. ამ ტიპის თვითმფრინავს ორ ნაკვეთურში მდებარე მრავალბირთვიანი დილური ტიპის ოთხ გამშვებ დანადგარზე 24 ასეთი რაკეტის წაღება შეუძლია. 80-იანი წლების შუა ხანებში რაკეტა Ty-22M-ის ტიპის ბომბდამშენების არსენალის შემადგენლობაშიც შევიდა. ერთ ასეთ თვითმფრინავს ათი X-15-ის ტიპის რაკეტის წაღება შეუძლია. აქედან ექვსის განთავსება შეიარაღების ნაკვეთურში, მრავალბირთვიურ დილური ტიპის გამშვებ დანადგარზე ხდება, დანარჩენი ოთხისა კი — ფრთაქვეშა და ფეხურლაქვეშა პოლიგებზე. ოთვცაალურად რაკეტა შეიარაღებაში 1988 წელს მიიღეს.

პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა რაკეტის რადიოილკაციური საწინააღმდეგო მოდიფიკაცია X-15P-ზე,

რომელიც 150 კგ-იანი მსხვერველი საბრძოლო ქობინით აღჭურვებულია. პრაქტიკულად იმავე გაბარიტების შტარჩურებისას, რაც საბაზო ვარიანტს ჰქონდა, რაკეტის ფრენის მანძილი 150 კმ-ს შეადგენდა, მაგრამ 1991 წელს ეს პროექტი დაიხურა.


1993 წელს პირველად იქნა დემონსტრირებული რაკეტის ხომალდსაწინააღმდეგო მოდიფიკაცია X-15C. ამ უკანასკნელის ფრენის დისტანცია 60-დან 150 კმ-მდე მერყეობს და მისი გამოყენება საესკადრო ნაღობსების კლასის ხომალდების გასანადგურებლადაც შეიძლება. საბრძოლო ქობინად მასზე გატანილი ფუგასური მუხტი გამოიყენება.

დღეს რაკეტის ამ მოდიფიკაციის შესახებ ცნობები თითქმის არ მოიპოვება, შესაბამისად, უცნობია, რა სტადიაშია პროექტი, რომლის მიხედვითაც ის იქნება.

თეიმურ აულუზაშვილი



აერობალისტიკური რაკეტა X-15 და ბომბდამშენ Ty-22M-ის ბომბნაკვეთურში მისი განთავსების სქემა



# ბანკები კოჩიდან სხინვალის ოსაქლა

## ავღანეთი ომი

გარემოლება. დასაწყისი იხ.  
„არსენალი“ №24-26, 2009 — №1-5, 2010

ავღანეთში ომის დაწყების ოფიციალურ თარიღად 1979 წლის 25 დეკემბერი ითვლება, თუმც მანამდე საბჭოთა სამხედრო ინსტრუქტორები და სპეცკვადანაყოფები სხვადასხვა სახის მოქმედებებში მონაწილეობდნენ.

მომხმე ავღანეთისათვის გარე აგრესიის მოვლენებში ინტერნაციონალური დახმარების აღმოჩენა და საბჭოთა სამხრეთი საზღვრებთან შესაძლო საფრთხის აღკვეთა იყო ის ოფიციალური მიზეზები, რომლის გამოც საბჭოთა არმიამ მუხომბელი ქვეყნის ოკუპაცია მოახდინა.

ოპერაცია საბჭოთა გენერალიტეტმა უნგრეთის 1956 წლისა და ჩეხოსლოვაკიის 1968 წლის აგრესიას მსგავსად დაგეგმა და ავღანეთში საბჭოთა მე-40 არმიის სახმელეთო შენაერთები რამდენიმე მხრიდან შეიჭრა.

25 დეკემბერს 108-ე მოტომსროლელი დივიზიის ქვედანაყოფებმა (მათ შორის იყო 4 მოტომსროლელი და 285-ე სატანკო პოლკი) უხბეკეთის ქალაქ თრემეზთან მდინარე აშუ-დარაიზე აწვიბილი საციალური პონტონის ხიდი გადალახეს და ფულ-ი-კუმრი-ქაბულისკენ გადაადგილდნენ.

დივიზიამ 43-46 საათში 510 კილომეტრიანი გზა გაიარა, რომლის დიდი ნაწილი — 310 კილომეტრი მთებში გადიოდა, და ქაბულს შეიარაღებულთა წინააღმდეგობის გარეშე მიდწია.



საბჭოთა ტანკების კოლონა ავღანეთში მარშის დროს

27-28 დეკემბერს თურქმენეთის ქალაქ ქუშქიდან მე-5 გვარდიულმა მოტომსროლელი დივიზიის სამმა მოტომსროლელმა პოლკმა, 24-ე გვარდიულმა სატანკო პოლკმა და სხვა დანაყოფებმა პერთისკენ გადინაცვლეს.

280-კილომეტრიანი მარშის შემდეგ დივიზიამ პერთი და შინდანის აეროდრომი დაიკავა.

ბევრად უფრო რთული მარშრუტი 860-ე ცალკეულმა მოტომსროლელმა პოლკმა გაიარა. 1980 წლის 10 იანვარს პოლკი ტაჯიკეთის ქალაქ პოროგინამ პამირის მთებში ავღანეთში ზღადაზნის პროვინციის ქალაქ ფაზაბადისკენ მიიძრა.

ეიწრო გზების, დანგრეული ხიდებისა და ადგილ-ადგილ მოწყობილი ჩასაფრებების გამო პოლკმა დანიშნულებას პუნქტს მხოლოდ მე-11 დღეს მიაღწია.

1980 წლის 2 თებერვას მე-40 არმიას 201-ე მოტომსროლელი დივიზიის ქვედან-

აყოფთა (მათ შორის იყო 234-ე სატანკო პოლკი) ერთი ნაწილი დაემატა. დივიზიამ მარში თურმეზიდან პართიანის გუვლით ყუნდუშის მიმართულებით შეასრულა.

წლების მანძილზე საბჭოთა არმია თეორიულად და პრაქტიკულად კროპაში NATO-ს ქვეყნებთან შესაძლო ომისათვის ემზადებოდა და ამ ცოდნით აღჭურვილი არმია ავღანეთში სავესტი განსხვავებულ ვითარებასა და გარემოში აღმოჩნდა.

მალიან მალე გაირკვა, რომ სარაკეტო, საჰაერო თავდაცვისა და ქიმიური დაცვის ქვედანაყოფები ავღანეთისათვის თურვად უსარგებლო იყო. დაახლოებით მსგავს მდგომარეობაში სატანკო ჯარებიც აღმოჩნდნენ.

3 სატანკო პოლკი, 12 მოტომსროლელი პოლკისა და 2 მოტომსროლელი ბრიგადის სატანკო ბატალიონი თუ ასეული ოპერაციულად შეზღუდული სივრცის ქონე მოაგოიბიანი ქვეყნისათვის მეტიმსებტად ბევრი გამოდგა.

იმდროინდელი შტატებში სატანკო პოლკი სამ სატანკო ბატალიონს აერთიანებდა და თითოეული 31-ს, ხოლო პოლკი 96-მდე ტანკს ითვლიდა.

მოტომსროლელი პოლკის ან ბრიგადის სატანკო ბატალიონს 40-მდე, ხოლო ასეულს კი 13 ტანკი ჰყავდა.

სულ მე-40 არმიის განკარგულებაში მოქმედებული T-55-ის სხვადასხვა მოდიფიკაციის დაახლოებით 600-მდე ტანკი იყო.

გამოუყენებელი სატანკო პარკის შესამცირებლად 1984 წლის მარტში 285-ე სატანკო პოლკმა საშტატო სტრუქტურა შეიცვალა და 682-ე მოტომსროლელ



მთებში ტანკზე უკეთეს სატანკო ავტომობილზე დაყენებული და 3V-23 გამოდგა



პოლკად გადაკეთდა, ხოლო 1986 წლის ოქტომბერში 24-ე გვარდიული სატანკო პოლკი საბჭოთა კავშირში დაბრუნდა.

ბევრად საჭირო და მრავალრიცხოვანი მსუბუქი ჯავშანტექნიკის პარკი დაახლოებით 1500 ქვეითთა საბრძოლო მანქანას (ძირითადად, **БМП-1, МТ-ЛБ და БМД-1**) და 290 ჯავშანტრანსპორტიორს (**БТР-60ПБ, БРДМ-2** და სხვ.) აერთიანებდა.

ბევრი ჯავშანტრანსპორტიორი ტექნიკის შესახაზე ბაზებიდან დაქანდული და შეიარაღების გარეშე იყო წყევანნილი და მარშის დროს მწყობრიდან გამოვიდა, რასაც ეკიპაჟების გამოცდულობაც ხელს უწყობდა.

ჯავშანსატანკო ნაწილები შუა აზრის რუსული კვების თადარიგის ოფიცრებით და კომპლექტდა და ბევრ მათგანს არც სამხედრო სამსახური ჰქონდა გავლილი, არც — მეთაურისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და არც ტექნიკის იცნობდა, ამიტომ 1980 წლის იანვრის მქორე ნახევრიდან მათი ადგილი საბჭოთა არმიის კადრის ოფიცრებმა დაიკავეს.

საბჭოთა კავშირის მხარდამჭერი ბატარაქ ქარმალის რეჟიმის არმია ქაღალდზე 81 თასს სამხედროს ითვლიდა, მაგრამ არმიის პირადი შემადგენლობის 60% დეზერტირი იყო.

აჟღანელების 570 ტანკი (**T-54A, T-54B, T-55, T-34-85**) სამ სატანკო ბრიგადასა და რამდენიმე სატანკო ბატალიონზე იყო გადანაწილებული, მაგრამ ბევრი აჟღანელი სამხედრო საბჭოთა არმიაში დამპყრობელს ზედჟდა და მოჯავაქმთა მხარეს გადასვლას ან დეზერტირობას ამჯობინებდა.

პირველივე ბრძოლებში გამოჩნდა საბჭოთა სატანკო ეკიპაჟების მოუშნადებლობა აჟღანეთის ომისათვის დამახასიათებელი ისეთი დეჟალებების შესრულებაში, როგორც იყო გზებისა და მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვა, კოლონიების გაცილება, სარეიდო ოპერაციები, რაიონების ბლოკირება, ტვირის ტრანსპორტირება და სხვ.

საკზაო მაგისტრალების დაცვამ თაიდანვე გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა, რადგანაც საბჭოთა გარნიზონების მომარაგების დიდ ნაწილს საჟეტომობილი ტრანსპორტი უზრუნველყოფდა.

ამ მიზნით მთავარი გზების სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებზე ერთმანეთისგან განსახდერული მანძილით დასორებულნი სპეციალური

